საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030147536974820

№ 01-136/ო **30 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, ე.წ. „ცხელების კლინიკებად“ განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N184 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა, და „საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციით (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 მარტის N01-126/ო ბრძანების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

მუხლი 1.

1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, „ცხელების კლინიკებად“ მობილიზებულ იქნეს სამედიცინო დაწესებულებები თანდართული N1 დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების აღსრულების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) კოორდინაციით, შერჩეულ დაწესებულებებში, არაუგვიანეს 2020 წლის 1 აპრილისა, განხორციელდეს:

ა) „ცხელების ზონის“ გამოყოფა ინფექციის კონტროლის ზომების სრულად დაცვით, იმგვარად, რომ აღიკვეთოს ჰაერის გზით გადაცემადი ინფექციის გავრცელება სხვა ზონებში;

ან

ბ) თუ კლინიკის ბაზაზე „ცხელების ზონის“ უსაფრთხოდ გამოყოფა ვერ ხერხდება კლინიკამ უნდა უზრუნველყოს მიმდინარე პაციენტების დროული გაწერა და/ან გადაყვანა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში და კლინიკის სრულად მობილიზება ცხელების მქონე პაციენტების მისაღებად.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დაწესებულებაში, განხორციელებული მომსახურება მოიცავს:

ა) ცხელებით მიმდინარე ყველა შემთხვევის ტრიაჟს, დიაგნოსტირებას COVID-19 ინფექციის გამოვლენის მიზნით სამინისტროს მიერ დამტკიცებული დიაგნოსტიკური ალგორითმის შესაბამისად და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრას;.

ბ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დადასტურებული შემთხვევის რეფერალს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ცხელებით მიმდინარე შემთხვევების სამედიცინო მომსახურებას/მართვას შესაბამისი საქმიანობისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.

4. დაევალოს:

ა) სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“უზრუნველყოს „ცხელების ზონების“ მოწყობის მონიტორინგი ინფექციის კონტროლის კუთხით;

ბ) სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს“, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ პაციენტების ტრანსპორტირება.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე